




გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები
პერიოდული
3 ნოემბერი, 2020

- ოქტომბრის მეორე ნახევარში საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე არასტაბილურობამ იმატა, რაც, გამოწვეული იყო ერთი მხრივ, აშშ-ს წინასაარჩევნო გაურკვევლობით, ხოლო მეორე მხრივ ვირუსის სწრაფი გავრცელებით და აშშ-ს ფისკალური სტიმულირების პაკეტის განხორციელების მოლოდინების შემცირებით. მიუხედავად სხვაობის შემცირებისა, ბოლო მონაცემებით ჯო ბაიდენი რეიტინგით კვლავ უსწრებს ტრამპს.
- ამერიკასა და ევროპაში COVID-ის მზარდმა შემთხვევებმა გამოიწვია ბაზრების მოკლევადიანი კორექტირება ოქტომბრის მეორე ნახევარში. აშშ-ში, 13 შტატში ვირუსის ერთდღიანი გავრცელების რეკორდები დაფიქსირდა, ხოლო ევროპის ბევრ ქვეყანაში ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ახალი შეზღუდვები დაანონსდა. თვის ბოლოს ბაზრის განწყობები ნაწილობრივ გაუმჯობესდა, რაც აშშ-სა და ევროზონის ეკონომიკების მოსალოდნელზე უკეთესმა შედეგებმა განაპირობა. აშშ-ს ეკონომიკა მესამე კვარტალში წლიური 33.1%-ით გაიზარდა (წლიურად), ხოლო ევროზონის ოთხ უდიდეს ეკონომიკებში ზრდა 8.2%-18.2% დიაპაზონში დაფიქსირდა. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ბოლო შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განახორციელა, თუმცა გაუარესებული მოლოდინების გათვალისწინებით შემდეგ შეხვედრაზე სტიმულების გაზრდაა მოსალოდნელი. აღსანიშნავია, რომ Financial Times-ის მიერ გამოკითხულმა ეკონომისტებმა შეამცირეს ევროზონის მე-4 კვარტლის ზრდის პროგნოზი (-2.3%), ახალი შეზღუდვების გამო.
- ოქტომბრის ბოლო კვირაში გამოქვეყნდა წამყვანი ტექ-გიგანტების ფინანსური შედეგები. ოთხი დიდი ტექ-კომპანიის - Amazon-ის, Facebook-ის, Google-ისა და Apple-ის - კომბინირებული გაყიდვები მე-3 კვარტალში წლიურად 18%-ით გაიზარდა, რაც ანალიტიკოსის მოლოდინებს 4%-ით აღემატებოდა, თუმცა ბაზრის რეაქცია არაერთგვაროვანი იყო, Google-ის ფასი 6%-ით გაიზარდა, ხოლო Amazon-ის, Facebook-სა და Apple-ის ფასები დაეცა. ასევე აღსანიშნავია, რომ S&P 500 კომპანიების 86%-მა მე-3 კვარტალში ბაზრის მოლოდინებს გადააჭრა.
- საერთო ჯამში, აშშ-ის კაპიტალის ბაზრებმა ოქტომბერი უარყოფითად დაასრულეს. **S&P 500** (აშშ-ს 500 უმსხვილესი კომპანიის ინდექსი) ოქტომბერში 2.8%-ით შემცირდა, თუმცა ყველაზე მკვეთრი ვარდნა ოქტომბრის ბოლო კვირაში მოხდა, როდესაც ინდექსი 5.6%-ით შემცირდა. ზეწოლის ქვეშ მოექცა ასევე ტექ კომპანიებით დატვირთული NASDAQ-ის ინდექსი, რომელიც ოქტომბერში 2.3%-ით შემცირდა (-5.5% ბოლო კვირის ვარდნა). ოქტომბერში ასევე შემცირდა ევროპული ინდექსები, მათ შორის STOXX 600 და FTSE 250.




წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2020 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით

- საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 13 ოქტომბერს გამოაქვეყნა გლობალური ფინანსური სტაბილურობის პერიოდული ანგარიში. ანგარიშში კიდევ ერთხელ იყო ხაზი გასმული საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების გადაჭარბებულ შეფასებაზე, რაც ისტორიულ მაქსიმუმზეა აშშ-ში, ევროზონაში, იაპონიასა და ჩინეთში. აღნიშნულის მიზეზად, განვითარებული ეკონომიკების მხრიდან უპრეცედენტო მონეტარული და ფისკალური სტიმულირება დასახელდა, რომელმაც საპროცენტო განაკვეთების და რისკიანობის შემცირება გამოიწვია. გარდა ამისა, აქციების ფასების ზრდას, განსაკუთრებით კი ტექ-კომპანიების, ხელი შეუწყო სავალუტო ინვესტორების რაოდენობის ზრდამ (ე.წ. "Robinhood Investors"). სავალუტო ფონდმა ასევე აღნიშნა, რომ თუ ინვესტორები ეჭვქვეშ დააყენებენ მონეტარული და ფისკალური სტიმულების მოცულობას, ან გაჭიანურდება ეკონომიკების აღდგენა, მოსალოდნელია აქტივების ფასების მკვეთრი კორექტირება.
- **ჩინეთის** ეკონომიკა 2020 წლის მე-3 კვარტალში 4.9%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი მოლოდინებზე ოდნავ დაბალია, ის ადასტურებს ჩინეთის ეკონომიკის გაჯანსაღების სწრაფ ტემპებს. აღსანიშნავია, რომ მსხვილ ეკონომიკებს შორის, ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ეკონომიკამ სწრაფ გაუმჯობესებას მიაღწია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, ჩინეთის ეკონომიკა 2020 წელს 1.9%-ით გაიზარდება, ხოლო 2021 წელს ეკონომიკის მნიშვნელოვანი - 8.2%-იანი ზრდაა მოსალოდნელი. პოზიტიური ეკონომიკური შედეგების პარალელურად **ჩინური იუანი** განაგრძობს გამყარებას. ჩინეთის შანხაის კომპოზიტიური ინდექსი თვის ბოლოს მონაცემებით უმნიშვნელოდ შემცირდა (-1.5% თ/თ)
- იაპონიაში Nikkei 225 ინდექსი ოქტომბერში უმნიშვნელოდ - 0.9%-ით შემცირდა.

ნავთობი და ოქრო

- ერთის მხრივ COVID-19 შემთხვევების ზრდით გამოწვეული მოთხოვნის შემცირებამ, ხოლო მეორეს მხრივ ნედლი ნავთობის წარმოების ზრდამ (აშშ და ლიბია) ოქტომბერში უარყოფითი გავლენა იქონია ნავთობის ფასებზე. 28 ოქტომბერს ნავთობის ფასები 5%-ით თითქმის 5-თვიან მინიმუმამდე დაეკარდა. თვის ბოლოს მდგომარეობით ნავთობის ფასმა (WTI) ბარელზე \$ 35.8 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ენერჯეტიკის სააგენტოს (IEA) ანგარიშის მიხედვით, ნედლი ნავთობის მარაგები აშშ-ში 4.3 მლნ ბარელით გაიზარდა 23 ოქტომბრის კვირაში. ეს დონე დაახლოებით 9%-ით აღემატება 5 წლის საშუალო მაჩვენებელს.
- ოქტომბრის ბოლოსთვის ოქროს ფასმა უნციაზე \$ 1,880 შეადგინა, რაც აგვისტოში არსებულ მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია. ძლიერი დოლარი და აშშ-ს ეკონომიკის მოსალოდნელზე უკეთესი გაჯანსაღება არის ოქროს ფასის სისუსტის ძირითადი მიზეზი. თუმცა, აღსანიშნავია რომ ვირუსის მეორე ტალღით გამოწვეულმა ეკონომიკურმა რეცესიამ, შესაძლებელია მომავალში გაზარდოს მოთხოვნა ისეთ უსაფრთხო აქტივებზე როგორც ოქროა.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2020 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილხინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გაცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: researchgt@gt.ge